დამტკიცებულია თსსა წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომის მიერ

ოქმი # 02, 05 მარტი , 2025 წელი

სსიპ თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის 2024-2025 სასწავლო წლის მე-2 სემესტრის სტუდენტების სწავლის საფასურის გადახდის ვადები

1. სტუდენტებს, რომლებმაც 2024-2025 სასწავლის წლის მე-2 სემესტრის დაწყებამდე არაუგვიანეს 5 (ხუთი) კალენდარული დღით ადრე (2025 წლის 05 მარტი) არ დაფარეს 2024-2025 სასწავლის წლის მე-2 სემესტრის სწავლის საფასური, დაუწესდეთ შემდეგი დამატებითი ვადები 2024-2025 სასწავლის წლის მე-2 სემესტრის საფასურის გადახდისთვის:

ა) საბაკალავრო და სამაგისტრო საფეხურების სტუდენტთა მიერ, რომლებიც სარგებლობენ 70%-იანი და 50%-იანი სახელმწიფო სასწავლო გრანტებით, წლიური საფასურის (2250 ლარი) ნახევარ თანხასთან (1125 ლარი) აღნიშნული პროცენტული მაჩვენებლის შეფარდების გათვალისწინებით, 2024-2025 სასწავლო წლის მე-2 სემესტრის სწავლის საფასური - შესაბამისად, 337,50 (სამას ოცდაჩვიდმეტი ლარი და ორმოცდაათი თეთრი) ლარი (70%-იანი გრანტით მოსარგებლეთა მიერ) და 562,50 (ხუთას სამოცდაორი ლარი და ორმოცდაათი თეთრი) ლარი (50%-იანი გრანტით მოსარგებლეთა მიერ) გადახდილ უნდა იქნეს (2025 წლის 17 მარტის ჩათვლით) ;

ბ) საბაკალავრო და სამაგისტრო საფეხურის სტუდენტთა მიერ, რომლებიც არ სარგებლობენ ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტში მითითებული სახელმწიფო სასწავლო გრანტებით, 2024-2025 სასწავლო წლის მე-2 სემესტრის სწავლის საფასური გადახდილ უნდა იქნეს ორ ეტაპად, თითოეულზე (სემესტრის სწავლის საფასურის (1125 ლარი) ნახევარი) - 562,50 (ხუთას სამოცდაორი ლარი და ორმოცდაათი თეთრი) ლარის ოდენობით შემდეგ ვადებში:

ბ.ა) პირველი შენატანი (562,50 ლარი) - არაუგვიანეს 2025 წლის 17 მარტის ჩათვლით;

ბ.ბ) მე-2 შენატანი (562,50 ლარი) - არაუგვიანეს 2025 წლის 15 აპრილის ჩათვლით;

გ) საბაკალავრო და სამაგისტრო საფეხურის სტუდენტთა მიერ, რომლებსაც განსაზღვრული აქვთ ინდივიდუალური გრაფიკი და რომლებიც არ სარგებლობენ ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტში მითითებული სახელმწიფო სასწავლო გრანტებით, ინდივიდუალური გრაფიკის შესაბამისად 2024-2025 სასწავლო წლის მე-2 სემესტრისთვის დადგენილი სწავლის საფასური (ინდივიდუალური გრაფიკის მიხედვით, 2024-2025 სასწავლო წლის მე-2 სემესტრისთვის დადგენილი სწავლის საფასურის 50-50%) შესაბამისად გადახდილ უნდა იქნეს ორ ეტაპად, ამ პუნქტის „ბ.ა“ და „ბ.ბ“ ქვეპუნქტებში მითითებულ ვადებში.

2. სტუდენტების მიერ, რომლებიც არ სარგებლობენ პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტში მითითებული სახელმწიფო სასწავლო გრანტებით და რომლებმაც 2024-2025 სასწავლის წლის მე-2 სემესტრის დაწყებამდე არაუგვიანეს 5 (ხუთი) კალენდარული დღით ადრე ნაწილობრივ დაფარეს 2024-2025 სასწავლის წლის მე-2 სემესტრის სწავლის საფასური, აღნიშნულ საფასურამდე (1125 ლარი) შესავსები თანხა გადახდილ უნდა იქნეს ორ ეტაპად, შესავასები თანხის 50-50%-ის ოდენობით, შესაბამისად პირველი პუნქტის „ბ.ა“ და „ბ.ბ“ ქვეპუნქტებით შენატანებისთვის განსაზღვრულ ვადებში.